

რელიეფის გეომორფოგენეზისი და ტრანსფორმაციის ხასიათი  
(ოკრიბის მაგალითზე)

ნინო კვიტაშვილი

ელ-ფოსტა: [Nino.Kvitashvili420@ens.tsu.edu.ge](mailto:Nino.Kvitashvili420@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179

ანოტაცია

საკვლევი რეგიონი გამორჩეულია გეოლოგიური აგებულებით, ლანდშაფტით, ბუნებრივი პირობებით, ისტორიულ-კულტურული ძეგლებით და მსოფლიოში ცნობილია უნიკალური ცამეტსართულიანი ცუცხვათის მღვიმოვანი კომპლექსით.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მკვეთრად გაიზარდა ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების ტემპი და მასშტაბი; რადგან ადამიანის სამეურნეო საქმიანობის უშუალო ობიექტს რელიეფი წარმოადგენს, ანთროპოგენური ფაქტორის გარდამქმნელი როლი ყველაზე მეტად მასზე გამოვლინდა. რელიეფზე ძლიერი ზემოქმედების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, აისახა მჭიდროდ დასახლებულ უბნებში. ამ მხრივ იმერეთი, კერძოდ კი ოკრიბა, ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია.

ადამიანის ბუნებათსარგებლობის პარალელურად მიმდინარეობს რელიეფის ტრანსფორმაცია. 2003-2004 წლების მონაცემებით (ო. ჩხეიძე), ოკრიბის ქვაბულში დაფიქსირებულია ფართობული ეროზიის კერები; აღნიშნულია, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ფერდობთა გადარეცხვის პროცესი ერთწლიანი

კულტურების უბნებში; ტყის გაჩეხვას უკავშირდება მეწყრული და ღვარცოფული პროცესების გააქტიურება; ადამიანის გაუთვალისწინებელი საქმიანობით გამოწვეული მეწყრული კერებია დაფიქსირებული შიდა ოკრიბაში (სს. კურსები, ორპირი, ოხომირა, ცუცხვათი, საწირე, ძიროვანი, კითხიჯი და სხვ.).

ნაშრომის მთავარი მიზანი იყო შეგვესწავლა ოკრიბაში არსებული მდგომარეობა, ტრანსფორმირებული რელიეფის ტიპები, მათი ხასიათი და გარდაქმნის ხარისხი.

აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ოკრიბის რელიეფის კვლევის პროცესში მოპოვებული დამუშავებული მასალა.

რეგიონის შესახებ არსებული მასალების შესწავლამ და თანამედროვე მდგომარეობის შედარებამ დაგვანახა, რომ ტერიტორიაზე დღითიდღე იზრდება ტრანსფორმაციის ხარისხის კოეფიციენტი. გააქტიურებულია სტიქიური პროცესები ისეთ უბნებზე, სადაც წინა წლებში მეტნაკლებად სტაბილურობა ფიქსირდებოდა.

ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე შეიქმნა რუკები, ხოლო მათი ანალიზით გამოიკვეთა რეგიონში არსებული პრობლემატური საკითხები, რომლის გადაჭრის გზები მოცემულია დასკვნაში რეკომენდაციების სახით.

აქედან გამომდინარე, ოკრიბის ტრანსფორმაციის ხასიათის შესწავლა და შეფასება მნიშვნელოვანია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც რეგიონში ბოლო 12-13 წელია მსგავსი ტიპის კვლევა არ ჩატარებულა.